

# სადიებო | Starpointer :



- სტარპოინტერის საშუალებით ხდება ტელესკოპის დამიზნება სასურველ ობიექტზე.
- აუცილებელია სტარპოინტერი გასწორდეს ტელესკოპზე, სტარპოინტერი და ტელესკოპი უნდა უყურებდეს ერთ წერტილს.

## როგორ ხდება გასწორება?!

მსგავსი ტიპის - ( ლაზერის მქონე ) სტარპოინტერს აქვს 3 დილაკი: თავში, შუაში და ბოლოში.


1) შუაში მოთავსებული დილაკის გადაწევით ვრთავთ წითელი ფერის წერტილოვან ლაზერს.

2) შემდეგ ტელესკოპს ვუმიზნებთ რაიმე ახლო მდებარე ობიექტს - (შენობას, ხეს მანქანას, შენობაზე დამაგრებულ რაიმე გარე აგრეგატს, ლამპიონს...) ისეთ ობიექტს რომელსაც სტარპოინტერიდან გახედვისას დავინახავთ.

3) როდესაც უკვე ტელესკოპს დავუმიზნებთ რაიმე ობიექტს და ლინზის ცენტრში გამოჩნდება კარგად, შემდეგ ისევ ვიხედებით სტარპოინტერში და ვუყურებთ წითელ წერტილოვან ლაზერს, თუმცა დავინახავთ რომ ტელესკოპში ჩახედვისას ლინზის ცენტრში გვაქვს ობიექტი მაგრამ სტარპოინტერში გახედვისას წითელი წერტილოვანი ლაზერი აცილებულია ობიექტს.

4) სტარპოინტერის თავში და ბოლოში მოთავსებული დილაკების დატრიალებით ხდება წითელი წერტილოვანი ლაზერის მიყვანა ობიექტის ცენტრამდე დაახლოებით 80% სიზუსტით.

5) როდესაც ამ ყველაფერს გავაკეთებთ სტარპოინტერი და ტელესკოპი დაკალიბრდება ერთმანეთზე, შემდეგ უპრობლემოდ შეძლებთ ტელესკოპის დამიზნებას სასურველ ობიექტზე და მის დაკვირვებას.





- სტარპოინტერის საშუალებით ხდება ტელესკოპის დამიზნება სასურველ ობიექტზე.
- აუცილებელია სტარპოინტერი გასწორდეს ტელესკოპზე, სტარპოინტერი და ტელესკოპი უნდა უყურებდეს ერთ წერტილს.

**როგორ ხდება გასწორება?!**

● მსგავსი ტიპის - ( გამადიდებლიან ) სტარპოინტერს აქვს 3 დამჭერი დილაკი. თუ სტარპოინტერში გავიხედებით დავინახავთ X , სწორედ ამ X ის შუა წერტილი უნდა მივმართოთ სამიზნე ობიექტისკენ.

● შემდეგ ტელესკოპს ვუმიზნებთ რაიმე ახლო მდებარე ობიექტს-(შენობას, ხეს მანქანას, შენობაზე დამაგრებულ რაიმე გარე აგრეგატს, ლამპიონს...) ისეთ ობიექტს რომელსაც სტარპოინტერიდან გახედვისას დავინახავთ.

● როდესაც უკვე ტელესკოპს დავუმიზნებთ რაიმე ობიექტს და ლინზის ცენტრში გამოჩნდება კარგად, შემდეგ ისევ ვიხედებით სტარპოინტერში და ვუყურებთ X ის შუა წერტილს, თუმცა დავინახავთ რომ ტელესკოპში ჩახედვისას ლინზის ცენტრში გვაქვს ობიექტი მაგრამ სტარპოინტერში გახედვისას X ის შუა წერტილი აცილებულია ობიექტს.

● სტარპოინტერს აქვს სამი დამჭერი მექანიზმი რომლის კომბინაციური ტრიალით გახდება X ის შუა წერტილის მიყვანა ობიექტის ცენტრამდე, დაახლოებით 80% სიზუსტით.

● როდესაც ამ ყველაფერს გავაკეთებთ სტარპოინტერი და ტელესკოპი დაკალიბრდება ერთმანეთზე, შემდეგ უპრობლემოდ შეძლებთ ტელესკოპის დამიზნებას სასურველ ობიექტზე და მის დაკვირვებას.

